



**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/197**

ქ. თბილისი

25 ივლისი 2018

**სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე კონკურსის
გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გ. არაბიძის 2018 წლის 24 ივლისის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე
 - პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №134);
 - პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №135);
 - პროფესორის ორ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №136);
 - ასისტენტ-პროფესორის 0,5 საშტატო ერთეულზე 200-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №136);
 - ასისტენტის 2x0,5 საშტატო ერთეულზე 2x200-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №136);
 - პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №28);
 - პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით (საგანთა ჯგუფი №31);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე